ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 27.12 .2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №89
მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის (10)ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, I-პუნქტის, „გ.ა" ქვეპუნქტის, „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის (10)ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი № -1 სა (ანგარიში თან ერთვის).

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის (10)ათ თვეში გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დადებითად.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

იგორ რატიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე მ/შ

მესტიის მუნიციპალიტეტის
მერიის

სოციალური დაცვის სამსახური

(2021 წლის 10 თვის ანგარიში)

- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური, 2021 წელს 10 თვის განმავლობაში მუშაობდა სოციალური დაცვის სამსახურის დებულების შესაბამისად და ხელმძღვანელობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N23 -ის „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N49 განკარგულებით დამტკიცებული მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამების შესაბამისად.

- სოციალური დაცვის სამსახური უზრუნველყოფს უმუშევართა, უმწეოთა, უსახლკაროთა, სტიქიით დაზარალებულ ოჯახთა, ხანდაზმულთა, მრავალშვილიან ოჯახთა, მარჩენალდაკარგული ბავშვების, ვეტერანთა, ონკოლოგიურ, ფსიქიურად დაავადებულ, ცერებლარული დამბლით დაავადებულ პირთა და დიალიზით მოსარგებლე პირთა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა და შშმ პირთა, ბავშვთა აღრიცხვას და სხვა, შესაბამისი ელექტრონული ბაზების შექმნას, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური პროგრამათა შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე ამ სფეროში მონაწილე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან კოორდინაციას.

- 2021 წლის სოციალური პროგრამები დაგეგმილი იყო გასული წლის ანალიზის შედეგად.
- ყოველი პროგრამა მორგებულია მოსახლეობის საჭიროებებს, მოქალაქეების მხრიდან შემოსულ განცხადებებში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. 2021 წლის სოციალური პროგრამები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- მესტიის მუნიციპალიტეტის **2021** წლის **(12** თვის გეგმა**)** ბიუჯეტით სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილია **783 987 (**შვიდასოთხმოცდასამი ათას ცხრაასოთხმოცდაშვიდი**)** ლარი. აღნიშნულ თანხას კატეგორიების მიხედვით **2020** წლის ნაშთიდან დაემატა **34 742 (**ოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაორი**)** ლარი , რის შედეგადაც აღნიშნული თანხა გადანაწილდა **:**

- — **06.02.01** - ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუხლში - **32 000 (**ოცდათორმეტი ათასი**)** ლარი.

- — **06.02.02** - მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვის მუხლში - **294 000 (**ორას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი**)** ლარი. აქედან 2020 წლის გადმოსული ნაშთი -5 000 (ხუთი ათასი) ლარი.

- **— 06.02.03** - ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მუხლში - **8 500 (**რვა ათას ხუთასი**)** ლარი.

- — **06.03**- მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლში- **219 742 (**ორას ცხრამეტი ათა შვიდას ორმოცდაორი**)** ლარი. აქედან 2020 წლის გადმოსული ნაშთი -14 742 (თოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაორი) ლარი.

- **— 06.04-** სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მუხლში- **168 845 (**ასამოცდარვა ათას რვაასორმოცდახუთი**)** ლარი.

- **--06 06** შშმ უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მუხლში **-50 900 (**ორმოცდაათი ათას ცხრაასი**)** ლარი. აქედან 2020 წლის გადმოსული ნაშთი -15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- **06 .07** -ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა- **10 000 (**ათი ათასი**)** ლარი.

- **2021** წლის **10** თვის განმავლობაში შემოსულია **1 466** განცხადება (აქედან 38 განცხადება განსახილველად გადმოვიდა 2020 წლის ბაზიდან) ჯამში კატეგორიების მიხედვით დახმარება გაეწია **1 204** განმცხადებელს **618 797.54** (ექვსას თვრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლ. **54** თ.) ლარის ოდენობით;

- 1.მარჩენალდაკარგულ ოჯახებსა და შშმ. ბავშვების კატეგორიით დახმარება გაეწია **8** განმცხადებელს **800**
- (რვაასი) ლარის ოდენობით.

➢ 2.შშმ ბავშვთა /პირთა დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია **1** განმცხადებელს **-100** (ასი) ლარის ოდენობით.

- 3.ახალშობილების კატეგორიით დახმარება გაეწია **99** მოქალაქეს - **23 950** (ოცდასამი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- 4.მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ხუთი და მეტი შვილი, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **11** განმცხადებელს **- 1 650** (ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

- 5. სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების (მათ შორის შშმ.პირის) დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი თანადაფინანსების პროგრამით დახმარება გაეწია **659** განმცხადებელს **269 671** ლ. **96** თ. (ორას სამოცდა ცხრა ათას ექვსასსამოცდათერთმეტი ლ. **96** თ.) ლარის ოდენობით.

- 6. ხანდაზმულების დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია **17** განმცხადებელს **2 550** (ორი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- 7. ომის მონაწილე ვეტერანებსა და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია -27 განმცხადებელს **1 350** (ათას სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- 8. დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **16** **განმცხადებელს- 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.**

- 9. ონკოლოგიურ ავადმყოფებზე და ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **156** **განმცხადებელს- 78 519 ლ. 80 თ. (სამოცდათვრამეტი ათას ხუთას ცხრამეტი ლ. 80 თ.) ლარის ოდენობით.**

- 10. დაკრძალვის ხარჯების (დევნილთა და ვეტერანთა) ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **-0** **განმცხადებელს -0 ლარის ოდენობით.**

- **11. C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია 0 განმცხადებელს -0 ლარის ოდენობით.**

- 12. მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანი ავადმყოფების ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი თანადაფინანსება მოხდეს სოციალური დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხიდან 50%-ის ოდენობით არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ არ ფინანსდება. ხოლო სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ბენეფიციარის შემთხვევაში 70%-ის ოდენობით, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ არ ფინანსდება აღნიშნული კატეგორიით დახმარება გაეწია **120 განმცხადებელს - 87 185 ლ. 78 თ. (ოთხმოცდაშვიდი ათას ასოთხმოცდახუთი 78 თ.) ლარის ოდენობით.**

13. სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა:

სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-15 წლამდე ბავშვთა თერაპიების თანადაფინანსებას შესაბამისი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად 50% , ხოლო სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ბავშვის შემთხვევაში 80 % ოდენობით, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **5 განმცხადებელს - 4 970 (ოთხიათას ცხრაას სამოცდაათი) ლარის ოდენობით.**

14. სტიქიით (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია **85 განმცხადებელს - 132 500 (ოასოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.**

სოციალური დაცვის სამსახურმა შეიმუშავა და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დაამტკიცა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N23-ში „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N49 განკარგულებით დამტკიცებული მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამების ,მესტიის რაიონის ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის (პ/კ- 06 03) პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების და განკარგულების პროექტი.

ცვლილების თანახმად ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიური ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების , მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში , როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

ასევე ცვლილება შევიდა სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსება პროგრამაში , რომელიც ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 - დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითარების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის დაფინანსება/თანადაფინასებას წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში (გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის/ინვოისის შესაბამისად).

მოგეხსენებათ სოციალური დაცვის სამსახური ორგანიზებას უწევს მოქალაქეების მხრიდან შემოსული განცხადებების განხილვას, შეისწავლის განცხადებებში აღნიშნულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ სათანადო დოკუმენტაციით შესაბამის საბჭოს სხდომაზე განსახილველად. განცხადებების განხილვის შედეგების შესახებ პასუხი მოქალაქეებს ეძლევათ წერილობით, აუცილებლობის შემთხვევაში სიტყვიერად, სატელეფონო საუბრით. არის შემთხვევები, როდესაც უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ერთი და იგივე მოქალაქე ან ოჯახი, ერთი და იმავე საკითხზე რამდენიმე განცხადებით მომართავს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, აღნიშნულ შემთხვევაში სამსახური რეაგირებს მისი კომპეტენციის ფარგლებში, აქედან გამომდინარე უარი ეთქვა და **ჩამოიწერა 62 განცხადება.**

ამჟამად მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურში განხილვის პროცესშია **-199 განცხადება.**

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია **400 წერილი** აქედან **-377 წერილი** შესრულებულია **,24 წერილი** განხილვის პროცესშია.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტო ეტაპობრივად ახორციელებს სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების პროგრამას, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამინისტროდან გადასამოწმებლად შემოვიდა **4 ოჯახის სია . ოჯახზე** ველოდებით ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან ინფორმაციას.

2021 წელი (10 თვე)							
კოდი	№	კატეგორიები	თარიღი	რაოდ ენობა	თანხა (ლარი)	შენიშვ ნა	
06 02 01 მარჩენალდაკარგულთა და სოციალური დაცვა	1	მარჩენალდაკარგული ოჯახები რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები) ერთჯერადი მატერიალლური დახმარება	5 თებერვალი	3	300		26500
			24 თებერვალი	1	100		
			29 მარტი	1	100		
			5 აპრილი	2	200		
			21 მაისი	1	100		
			სულ:	8	800		
	2	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი	21 მაისი	1	100		
			სულ:	1	100		
	3	ახალშობილები	5 თებერვალი	21	5100		
			24 თებერვალი	10	2200		
			29 მარტი	1	400		
			5 აპრილი	10	2250		
			16 აპრილი	5	1550		
			21 მაისი	16	4500		
			06 ივლისი	10	1950		
			30 ივლისი	8	1650		
			19 აგვისტო	2	350		
			2 სექტემბერი	9	2250		
			21 სექტემბერი	3	850		
			13- ცტ	4	900		
				99	23950		
	4	მრავალშვილიანები	5 თებერვალი	3	450		
			24- ებ	3	450		
			29 მარტი	2	300		
			5 აპრილი	1	150		
			21 მაისი	1	150		
			2 სექტემბერი	1	150		
			სულ:	11	1650		

06.02.02 მძიმე კატ ავადმყოფთა სოციალური დაცვა	5	მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა	5 თებერვალი	75	31585.14		269 671.96
			24 თებერვალი	92	35631.96		
			29 მარტი	42	16650		
			5 აპრილი	85	36251		
			16 აპრილი	102	41112.45		
			21 მაისი	45	17690		
			24 ივნისი	2	1000		
			06 ივლისი	115	46592.97		
			22 ივლისი	1	500		
			30 ივლისი	39	17004.96		
			19 აგვისტო	14	6117.82		
			2 სექტემბერი	21	8565.96		
			21 სექტემბერი	26	10969.7		
				659	269671.96		

06 02 03 ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა	6	ხანდაზმულები	5 თებერვალი	3	450		3 900
			24 თებერვალი	6	900		
			29 მარტი	1	150		
			16 აპრილი	3	450		
			21 მაისი	1	150		
			06 ივლისი	2	300		
			2 სექტემბერი	1	150		
			სულ:	17	2550		
	7	ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი	5 თებერვალი	2	100		
			24 თებერვალი	1	50		
			29 მარტი	1	50		
			16 აპრილი	5	250		
			21 მაისი	7	350		
			06 ივლისი	2	100		
			30 ივლისი	2	100		
			19 აგვისტო	1	50		
			2 სექტემბერი	1	50		
			13- ცტ	5	250		
			სულ:	27	1350		

06.03 ოჯახების სოციალური დაცვა	8	დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები	5 თებერვალი	5	5000		
			24 თებერვალი	1	1000		
			29 მარტი	4	4000		
			2 ივნისი	1	1000		
			24 ივნისი	1	1000		
			30 ივლისი	2	2000		
			19 აგვისტო	1	1000		
			21 სექტემბერი	1	1000		
				16	16000		
	9	ონკოლოგიური ავადმყოფები და ფსიქიურად დაავადებული პირები	5 თებერვალი	30	11450		
			24 თებერვალი	21	10350		
			29 მარტი	26	13100		
			5 აპრილი	8	4000		
			16 აპრილი	17	8700		
			21 მაისი	8	4000		
			2 ივნისი	7	4181.8		
			24 ივნისი	7	4000		
			06 ივლისი	5	3000		
			30 ივლისი	8	4798		
			17 აგვისტო	1	1000		
			19 აგვისტო	6	3440		
			2 სექტემბერი	7	4000		
			21 სექტემბერი	3	1500		
			13- ცტ	2	1000		186 675.58
				156	78519.8		
	10	სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მოქონე ბავშვთა დაფინანსება	5 თებერვალი	1	990		
			29 მარტი	1	700		
			2 ივნისი	1	990		
			06 ივლისი	1	1300		
			30 ივლისი	1	990		
			სულ:	5	4970		
	11	ქირურგიული ოპერაცია	26 იანვარი	1	1000		
			5 თებერვალი	9	7172.46		
			10 თებერვალი	1	1000		
			24 თებერვალი	1	159.1		
			29 მარტი	10	6549,99		
			5 აპრილი	3	1534.34		
			16 აპრილი	9	5998.44		
			21 მაისი	11	6097.81		
			2 ივნისი	2	2000		
			24 ივნისი	3	1608		
			06 ივლისი	34	27014.19		
			07 ივლისი	1	1500		
			30 ივლისი	12	9345.45		
			19 აგვისტო	12	9272.83		
			2 სექტემბერი	4	2713		
			21 სექტემბერი	3	2087.50		
			13- ცტ	4	2132.67		
			სულ:	120	87185.78		

06 04 სტიქიის შედეგად დაზარალებული	12	სტიქია (ხანძარი)	5 თებერვალი	2	2000		132 500
			24 თებერვალი	4	10000		
			29 მარტი	5	21000		
			5 აპრილი	4	8000		
			16 აპრილი	1	3000		
			29 აპრილი	1	5000		
			21 მაისი	10	11500		
			24 ივნისი	5	4500		
			06 ივლისი	24	29500		
			19 აგვისტო	14	17000		
			2 სექტემბერი	9	13500		
			21 სექტემბერი	6	7500		
			სულ:	85	132,500		

სულ: 1 204 განცხადება 619 247.54 ლარის ოდენობით

3 წლის შედარებითი ანალიზი

№	კოდი	კატეგორია	2019		2020		2021 (10 თვის)	
			განცხ.რაოდ	თანხა	განცხ.რაოდ	თანხა	განცხ.რაოდ	თანხა
1	06 02 01	მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა	143	31450	164	40250	119	26500
2	06 02 02	გაჭირვებული ოჯახები	476	169847.03	587	222998.72	659	269671.96
3	06 02 03	ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	68	8300	58	8150	44	3900
4	06 03	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	344	167947.53	305	184 523.96	297	186675.58
5	06 04	სტიქია	48	514140	46	93300	85	132500
		ჯამი:	**1079**	**891684.56**	**1160**	**549222.68**	**1204**	**619247.54**

- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და შემუშავდა პროგრამები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი სერვისების გეგმაზომიერი მიწოდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობითა (მათ შორის ფინანსური) და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 2019 წლიდან დაბა მესტიაში ფუნქციონირებს კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ სთავაზობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ადრეული განვითარების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლისა და რეაბილიტაცია-სამკურნალო მასაჟის პროგრამებს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრში პროფესიულ ვიზიტებს ახორციელებენ სხვადასხვა მოწვეული, მათ შორის უცხოელი სპეციალისტები და თითოეულ მათგანს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს არსებული რესურსით.

სარეაბილიტაციო ცენტრში არსებული თითოეული მომსახურება/სერვისი ორიენტირებულია როგორც ბენეფიციართა განვითარებაზე, აბილიტაციაზე და მათ სოციალურ ინტეგრაციაზე, ასევე ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემის შექმნასა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებაზე.

აღნიშნული პროგრამები ხელმისაწვდომია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი ბენეფიციარისთვის სამიზნე ჯგუფისა და ასაკობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

- **2021წ წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა 80 000 ლარი. აქედან 10 თვის განმავლობაში დახარჯულია 75 455 .04 ლარი. დარჩენილია 33 543 .53 ლარი.**
- **ცენტრის ბაზაზე განთავსებულია შემდეგი სერვისები:**

დღის ცენტრი -არსებული სერვისი განკუთვნილია დაბა მესტიაში და სოფ: ლენჯერში, ლატალში და მულახში მცოხვრები, 6-დან 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის. დღის ცენტრის მომსახურება ბენეფიციარებს მიეწოდებათ ყოველდღე, შაბათ-კვირისადაუქმედღეებისგარდა, მინიმუმ 3 საათის განმავლობაში და გულისხმობს როგორც ბენეფიციართა ტრანსპორტირებას და ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, ასევემათი ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური საჭიროებების გამოვლენას და აკადემიური, ადაპტური, სოციალურ-კომუნიკაციურ უნარების განვითარებაზე ზრუნვას. დამატებით დღის ცენტრი უზრუნველყოფს ფსიქოლოგის, ხელოვნების თერაპიის, მეტყველების თერაპიის, სენსორული ინტეგრაციის სერვისების, რიტმული შეზელვისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობას. (10 ბენეფიციარი)

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე). (10 ბენეფიციარი)

ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

შინ მოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზიაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, კონსულტაციების გზით. (24 ბენეფიციარი)

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში. (10 ბენეფიციარი).

მოთხოვნის საფუძველზე 2 ბენეფიციარს გადაეცა ეტლი .

შშმ საბჭო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. საბჭოს წევრების შერჩევა მოხდა შშმ პირთა საჭიროებების, პრობლემების საკითხების გათვალისწინებით. საბჭოს შემადგენლობაში შედის 10 წევრი. მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, შშმ პირის მშობელი და „კახა.ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის" მენეჯერი. 10 წევრიდან 9 წევრი არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

მიმდინარე წელს ჩატარდა ერთი შშმ საბჭოს სხდომა. სხდომაზე განხილული იყო შემდეგი საკითხები.

1 შშმ საბჭოს წევრად სოც. მუშაკის ნანა ფალიანის ჩამატება.
2. სამოქმედი გეგმის დამტკიცეება.
3. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ბაზის შექმნა. საჭიროებების შესწავლა / გამოვლენა. შესაბამისი პროგრამებიოს შედგენა.
4. 10 საბავშვო ბაღის უნივერსალური დიზაინით მოწყობის საკითხის განხილვა.
5. ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლების გადამზადების საკითხი. პროექტების მიღებისა და შენობა ნაგებობების ჩაბარების პროცესში უნივერსალური დიზაინის გათვალისწინების შესახებ.

დამტკიცდა : **მესტიის მუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა (იხ დანანთი 1)**

შეიქმნა : ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა
(პროგრამული კოდი- 06 07)

პროგრამის სახელწოდება: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა რომელიც ეხება-
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ბავშვთა დაცვის განყოფილება:
,,სოციალური მუაობის შესახებ" საქართველოს კანონითა და ,,ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსი"-ით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, ამ ეტაპზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში დასაქმებულია, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვისა და ოჯახის, ერთი სოციალური მუშაკი;

ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული მულტი გუნდი. ,,სოციალური მუაობის შესახებ" საქართველოს კანონითა და ,,ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსი"-ით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, ამ ეტაპზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსისთვის მოხდა ფუნქციათა შეთავსება. ჩატარდა კონკურსი ფსიქოლოგის ვაკანსიაზე მიმდინარეობს გასაუბრების შედეგად მოწონებული კადრის აყვანის პროცედურები.

განყოფილებამ ბავშვთა დაცვის მიმართულებით იმუშავა 2 ქეისზე:
ქეისი. მიმდინარე წელს სახალხო აპარატის მოთხოვნის საფუძველზე ხაიშის თემის ერტერთ საჯარო სკოლის მოსწავლეს , რომელიც იყო უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან და სკოლაში 7 კმ ფეხით უწევდა სიარული.
ქეისი. ამჟამად, საკითხი, როემლსაც სწავლობს მერიის, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, გახლავთ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული კორესპონდენციის საფუძველზე მიმდინარე წარმოება და შეეხება არასრულწლოვანი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას. ბავშვის დედის თხოვნით სოც მუშაკი ჩართულია ქ. ზუგდიდში სამედიცინო მომსახურეაობის მიღების პროცესშიც. მერიის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით სოც მუშაკი გაყვება გამოკვლევების ჩასატარებლად და ადვოკატირებას გაუწევს სტატუსის მინიჭების პროცესში .

დანართი 1

მესტიის მუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

ლოგიკური ჩარჩო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.			
შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.			
ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: *კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.*	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** *შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.*		
შენობა-ნაგებობების მშენებლობისას და რეაბილიტაციისას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება			
აქტივობის შედეგის ინდიკატორი: *გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა* *სოც მუშაკი* *ფსიქოლოგი* *ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი*	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
	2021 წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			განვითარების პარტნიორი
პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო			
მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების (10 საბავშვო ბაღი) იდენტიფიცირების დაწყება, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს ადაპტირებას			
აქტივობის შედეგის ინდიკატორი: იდენტიფიცირებულია სულ მცირე 10 შენობა	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: იდენტიფიცირებულია სულ მცირე 10 შენობა	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2021 წლის მე-2 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			ადმინისტრაციული ხარჯი	
	ადაპტირებულია 10 შენობა	2021 წლის მე-4 კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	
	პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო			
აქტივობა 1.2	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების (მათშორის ბავთა) სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის შეფასების ფორმების შემუშავება			
	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების (მათ შორის ბავშვთა) სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის შეფასების ფორმების შემუშავება/დამტკიცება	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2021 წლის მე-2 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			ადმინისტრაციული ხარჯი	

აქტივობა 1.3	**შშმ ბავშვთა და უკიდურესად გაჭივებული ოჯახებიდან სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცება განხორციელება**			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შემუშავებულია პროგრამა	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2021 წლის მე-2 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			ადმინისტრაციული ხარჯი	
	პროგრამის განხორციელება	2021 წლის მე-3 კვარტლიდან	ადმინისტრაციული ხარჯი	

მოგეხსენებათ ბავშვთა უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით ადგილობრივ მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებაში შევიდა:

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ ყველა საჭირო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების დასანერგად მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის შემუშავებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას.

3. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) საქმიანობა მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

გ) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;

დ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ე) სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მისი ფარგლების გარეთ;

ვ) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა;

ზ) დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

5. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-18 მუხლის საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

7. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ფინანსდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ბავშვის მხარდაჭერის პროგრამა ფინანსდება შესაბამისი პროგრამის ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო გრანტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ფინანსური საშუალებებით.

, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებად და მის ფუნქცია-მოვალეობებს დაემატა , დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვთა უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები .

2020 წლის მდგომარეობით სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას დაემატა ერთი კადრი, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი.

ხოლო მიმდინარე წლის აგვისტოს თვიდან სოციალური დაცვის სამსახურის , სოციალური ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას დაემატება კიდევ ერთი კადრი მე-IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში ბავშვის ფსიქოლოგი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მესტიის ფილიალის მოხალისეები 2021 წელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ ადგილობრივ თვითმმართველობას კოვიდ სიტუაციების მართვის პროცესში. მიმდინარე წელს განმავლობაში დარიგდა : ადგილობრივი თვითთმმართველობის მიერ შეძენილი პირველადი მოხმარების პროდუქტი და ჰიგიენური საშუალებები (იანვრის თვეში) **-680 ოჯახი.**

წითელიჯვრის საზოგადოების მიერ შეძენილი ტანსაცმელი აპრილის თვეში დაურიგდათ მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ შშმ პირებს - **179 ბენეფიციარი.** აპრილის თვეში ასევე დარიგდა ადგილობრივი თვითთმმართველობის მიერ შეძენილი პირველადი მოხმარების პროდუქტი და ჰიგიენური საშუალებები - **680 ოჯახი**

.

მესტიის მუნიციაპლიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება"-სთან მესტიის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის პროცესის ხელმისწვდომობის კუთხით..ამჟამად „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების (რეგისტრაციის N CI-2021/19) პროგრამის ფარგლებში (01.03-დან-01.11 -მდე) აცრილი ბენეფიციარების რაოდენობა:

სულ აცრილი -2210 ბენეფიციარი

მათ შორის :

ასტრაზენეკა -10 .

სინოფარმი-1008.

სინოვაკი-435.

ფაიზერი-757.

ფორმა # E6

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

საიავსტიციო პირდაპირი ჩარიცხვებით

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა,მთავრობის სარეზერვო ფონდი,სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი,მიზნობრივი გრანტი,დავალიანების დაფარვის ფონდი,სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი,რეგიონების სარეზერვო ფონდი,ავტონომიის დავალიანების ფონდი,გრანტი,საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა,საკუთარი სახსრები,თვითმართველობის სარეზერვო ფონდი,საგანმანათლებლო ინფრასტრქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი,თვითმართველობის დავალიანების ფონდი,დონორის სხვა დაფინანსება,ავტონომიაში განსახორციელებელი პროექტების ფონდი,StopCoV ფონდი,სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი,საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე,ავტონომიის მთავრობის ფონდი,კრედიტი,პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

დამტკიცების თარიღით | პერიოდი (გეგმა): 12 თვე | თარიღი (გეგმა): 08/11/2021 | თარიღი (ხარჯი): 08/11/2021

ორგანიზაც. კოდი	დასახელება	გეგმა	ვალდებულება	რესურსი	გადახდა	გეგმას გამოკლებული გადახდა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა					
00	ჯამური	861,798.00	845,669.59	16,128.41	744,672.15	117,125.85
06 02 01	ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა					0.00
00	ჯამური	32,000.00	32,000.00	0.00	26,500.00	5,500.00
2	ხარჯები	32,000.00	32,000.00	0.00	26,500.00	5,500.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	32,000.00	32,000.00	0.00	26,500.00	5,500.00
06 02 02	მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა					0.00
00	ჯამური	294,000.00	293,418.44	581.56	269,676.96	24,323.04
2	ხარჯები	294,000.00	293,418.44	581.56	269,676.96	24,323.04
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	294,000.00	293,418.44	581.56	269,676.96	24,323.04
06 02 03	ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა					0.00
00	ჯამური	8,500.00	5,700.00	2,800.00	5,650.00	2,850.00
2	ხარჯები	8,500.00	5,700.00	2,800.00	5,650.00	2,850.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	8,500.00	5,700.00	2,800.00	5,650.00	2,850.00

06 03	მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა					0.00
00	ჯამური	219,742.00	209,675.58	10,066.42	186,675.58	33,066.42
2	ხარჯები	219,742.00	209,675.58	10,066.42	186,675.58	33,066.42
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	219,742.00	209,675.58	10,066.42	186,675.58	33,066.42
06 04	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება					0.00
00	ჯამური	168,845.00	168,845.00	0.00	132,500.00	36,345.00
2	ხარჯები	168,845.00	168,845.00	0.00	132,500.00	36,345.00
2.8	სხვა ხარჯები	168,845.00	168,845.00	0.00	132,500.00	36,345.00
06 05	შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება					0.00
00	ჯამური	87,811.00	87,808.57	2.43	75,448.61	12,362.39
2	ხარჯები	87,811.00	87,808.57	2.43	75,448.61	12,362.39
2.5	სუბსიდიები	87,811.00	87,808.57	2.43	75,448.61	12,362.39
06 06	უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა					0.00
00	ჯამური	50,900.00	48,222.00	2,678.00	48,221.00	2,679.00
2	ხარჯები	50,900.00	48,222.00	2,678.00	48,221.00	2,679.00
2.8	სხვა ხარჯები	50,900.00	48,222.00	2,678.00	48,221.00	2,679.00
06 07	ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა					0.00
00	ჯამური	10,000.00		10,000.00		10,000.00
2	ხარჯები	10,000.00		10,000.00		10,000.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	10,000.00		10,000.00		10,000.00